ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N14

04.11.2022 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
12:00 საათი *ოთახი 3-01*

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **ირაკლი თავართქილაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032230667-03, 02.11.2022წ.),*

   მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს**

N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032230178-03, 28.10.2022წ.),* **მომხსენებელი - ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ორი წლის ვადით უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - მოგესალმებით, აღნიშნული საკითხი ეხება თბილისში დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთი უზუფრუქტის წესით მოვლა-პატრონობის მიზნით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ქონება მუნიციპალიტეტმა 2021 წელს დაიბრუნა მონაცვლეობის წესით. ეს გახლდათ გასხვისებული სპორტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ კი ,,მთვარის გლობუსი"-ს სპორტული მოედანი. მიწის ნაკვეთი შეადგენს 10, 327 კვადრატულ მეტრს შენობა ნაგებობებით, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. ქონების სარგებლობით გადაცემის შემთხვევაში საქართველოს ამპუტანტ ფეხბურთელთა ასოციაცია სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს აღნიშნული ტერიტორიის შესაბამისი სტანდარტების დაცვით მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობას ფეხბურთში და შშმ პირთა თვითრეალიზაციას. უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდია 2 წელი, ასოციაციას ექნება შესაძლებლობა ინვესტორის მოძიების და შესაბამისი სივრცის მოწყობის.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სასურველი იქნება კომისიურ ფორმატში ადგილზე მოვინახულოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ირაკლი ეძგვერაძე - რამდენად აქვს ასოციაციას ფინანსური შესაძლებლობა, რომ მოახდინოს სივრცის მოწყობა და შექმნას სათანადო პირობები პარასპორტსმენებისთვის?

ირაკლი თავართქილაძე - დავამატებ, რომ სამართლებრივად მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება, ქონება გადასცეს სუბიექტს საინვესტიციო პირობის გაწერის გარეშე 2 წელზე მეტი ხნით. ვიმედოვნებთ, რომ ამ დროში ასოციაცია შეძლებს ინვესტიციის მოზიდვას და სივრცის მოწყობას. ქონების გადაცემის შემდეგ ასოციაციისთვის გამარტივდება გრანტების მოძიება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ:400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" საკითხი.

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ირაკლი ეძგვერაძე (1).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ:400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქვეპროგრამის სპორტი უფროსი თაობისთვის ფარგლებში, საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესში ცვლილების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პროგრამა დავიწყეთ ოქტომბრის დასაწყისში. რეალურად ერთი თვეა, რაც პრაქტიკაში მუშაობს, 298 ბენეფიციარი სარგებლობს ამ ეტაპზე და ყოველდღიურად მოდიან პროგრამაში ჩართვის მსურველები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საპილოტე ვერსიამ გაამართლა და მზარდი მოთხოვნა გააჩინა. ცვლილება ეხება რაოდენობრივი შეზღუდვის მოხსნას და ტექნიკური ნაწილის გამარტივებას, რაც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალურ ცენტრებს გაატარონ იმდენი ბენეფიციარი რამდენსაც შეძლებენ.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მნიშვნელოვანია, რომ ახლად დაწყებულმა პროგრამამ უკვე დიდი მოთხოვნა გააჩინა და წესში რაოდენობრივი განსაზღვრების ამოღება გახდა საჭირო, რაც მხოლოდ მისასალმებელია.

ვლადიმერ ბოჟაძე - გენდერული სტატისტიკის გათვალისწინებით რა სიტუაციაა, ასევე საინტერესოა ისეთი ადამიანები თუ არიან, ვინც დარეგისტრირდა და არ ისარგებლა პროგრამით?

ირაკლი გვილავა - ორივე სქესის ბენეფიციართა მხრიდან გახლავთ მოთხოვნა და რაიმე დამაბრკოლებელი ფაქტორი ამ კუთხით არ არსებობს. რაც შეეხება დარეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ შეძლეს სიარული, მათი რაოდენობა ძალიან მცირეა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე